სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/53

ქ. თბილისი 17 აპრილი 2025წ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2 აპრილის საბჭოს სხდომის №2-1 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“, პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 30 (15+15) ადგილით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დაინიშნოს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი ნათია ბუთხუზი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**